



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
 №1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 46
 13/07/2015

46-06-4-201507131102



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში
სანაპიროს ქუჩაზე მცხოვრები დავით ჩხიკვაძის საკუთრებაში არსებულ
საცხოვრებელი სახლისთვის ნუმერაციის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივანების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების, ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 მაისის №18 დადგენილების , „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 -ე მუხლის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 12 ივნისის N 1159 წერილის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული სანაპიროს ქუჩაზე მცხოვრები დავით ჩხიკვაძის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს მიენიჭოს ნომერი. „სანაპიროს ქუჩა N 1“.
2. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს:
 - ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს;
 - ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;
 - გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო